



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
 სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030475456728219

№ 04-1360/ო

15 / ივლისი / 2019 წ.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესი და პირობებით“ გათვალისწინებული საკითხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 6 ივნისის N04-1042/ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის №01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების" მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე

1. „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესი და პირობებით“ გათვალისწინებული საკითხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 6 ივნისის N04-1042/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება - ამ ბრძანების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების შესრულებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ სააგენტოს შემდეგი უფროსი სოციალური მუშაკები:

- ა) ირინე წერეთელი;
- ბ) სოფიო ბედომვილი;
- გ) ნინო რეხვიაშვილი;
- დ) ეკა ევსტაფიშვილი;
- ე) თამარ ბახტაძე (ქუთაისის მობილური ჯგუფი);
- ვ) თეონა ბრეგვაძე რუსთავის მობილური ჯგუფი).”


2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისათვის და ამავე ბრძანების მე-2 პუნქტით

განსაზღვრული პირობებისათვის.

3. დაევალოს სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ.ჩანადირი) წინამდებარე ბრძანების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

გიორგი წონკოლაური